№ 250 ნოემბერი 24, შაბათი 1890 ნოემბერი 24, შაბათი № 250

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

# НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ

## въ 1891 году

**(ВОСЬМОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ *первое*, вечернее, предназначено для восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а *второе*, утреннее,—для гор. Тифлиса, западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10 р.**, полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу*, на годъ—**17 р.**, на полгода—9 р., а три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и оногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА**, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

**За объявленія** изъ губерній и областей кавказскаго края взимается по 8 к. за строку петита на 4-й страницѣ и по 15 к. за такую-же строку на 1-й стр. За всѣ остальныя объявленія—по 10 к. за стр. петита на 4 стр. и по 15 к. за такую-же строку на 1 стр.

Объявленія изъ внѣ-кавказскихъ городовъ принимаются исключительно въ „Центральной конторѣ объявленій“, бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой улицѣ, въ д. Спиридонова.

Подписка и объявленія принимаются:

а) **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты**, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

б) **ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ БАКУ—при аптекарскомъ магазинѣ И. Г. Чубинова**, на Михайловской улицѣ, домъ Мирза-Авакова и Карабегова.

2) **ВЪ КУТАИСѢ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

3) **ВЪ БАТУМѢ—при конторѣ М. С. Бетанова**, Набережная, домъ Ферадъ-Бега.

в) **У АГЕНТОВЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ Г. ШУШѢ—С. О. Ананьева**, на площади Топханэ.

2) **ВЪ Г. ГОРИ—Ир. И. Рамишвили.**

3) **ВЪ ЕЛИЗАВЕТПОЛѢ—Г. А. Альтгаузена**, при торговлѣ аптекарскими товарами.

Въ отдѣленіяхъ и у агентовъ подписка и объявленія принимаются **по редакціоннымъ цѣнамъ**, безъ всякой надбавки. Розничная продажа тоже производится безъ увеличенія платы, **по 5 коп.** за номеръ.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издательница **О. А. Николадзе.**

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც ამ წელს.
ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

# ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მესამე რიგის ხმოსანთა ასარჩევად ქალაქის საბჭოსათვის ოთხის წლით 1891—1894 წლამდე, დანიშნულია კრება ამომრჩეველთა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის თეატრის დარბაზში იმ კრების განსაგრძობად, რომელიც 18 ნოემბერს კანონიერად დაიწყო.

კრება დაიწყება სწორედ დილის 9 საათზე.

კრებაზე შეუძლიან დაესწრნენ ყველანი, ვინც 13 ნოემბრისაზე იყვნენ და საზოგადოდ ყველა მესამე რიგის ამომრჩეველნი.

საგანი კრების განხილვისა: 1) დასახელება კანდიდატებისა ბარათებით. ამ ბარათების მიღება იქნება მხოლოდ დილის 12 საათამდე.

და 2) შედგენა კანდიდატების სიისა იმ ზედ მიყოლებით, თუ ვინ მიიღო უფრო მომეტებული ხმა ბარათებით.

რაიცა შეეხება კანდიდატების ამორჩევას კენჭის ყრით, იგი კენჭის ყრა ზემოხსენებულის წესითვე მოხდება კვირას, 2 დეკემბერს; ამის შესახებ კიდევ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ის ბილეთები, რომელნიც დარიგებული იყო 18 ნომბრის კრებაზე შესასვლელად გაუქმებული იქნება.

ხოლო, რომ უფრო გაუადვილდეთ საქმე ბ-ნთ ამომრჩეველთ იმათის უფლების შემოწმების დროს ახალის ბილეთის მისაღებად, ეს ბილეთები მიეცემათ, როგორც თეატრის დარბაზის შესავალში ისე წინდაწინაც, სახელდობრ 22 ნოემბრიდგან 24 დე ქალაქის გამგეობაში დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—2)

---

# ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**
**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

# ქართული თეატრი

**სამშაბათს, 27 ნოემბერს**

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

## მტარვალი

ისტორიული ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. ი. ლაზარიშვილისა.

| | |
|---|---|
| მოქმედება I<br>დაფარული საბოროტე | მოქმედება II<br>განთავისუფლება |
| მოქმედება III<br>აპრინძის ოდი | მოქმედება IV<br>სიკვდილი მტარვალისა |

მოქმედება V

## სადრჩოზელა

მოქ. სწარმოებს 1770—1775 წლებში

ახალი დეკორაციები და ტანთ-საცმელი

მესამე და მეხუთე მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 60 კაცისა.

**მოთამაშენი:** ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ-ნნი სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, გარეჯელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

---

რადგან ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობას მოუვიდა ამბავი გაზ. „Правительственный Вѣстникъ“-ის რედაქციისაგან, რომ თქვენს უკანასკნელს განცხადებას მამულების გასყიდვის შესახებ 30 ნოემბრზე ადრე ვერ დავბეჭდავთო, ამიტომ ზემოხსენებულის ბანკის მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ დეკემბრის 14 დანიშნული ვაჭრობა მამულების გასყიდვისათვის, როგორც იყო გამოცხადებული გაზ. „Кавказъ“-ის 297, 298 და 299 ნომრებში და გაზ. „ივერიის“ 240, 241 და 242, გადადებულ იქმნა ამ წლის დეკემბრის 31-სთვის. (3—1)

---

## „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიურის კრების გამო.

### I

არ იქნა და ჯერ კიდევ ვერ მიზიდა ჯეროვანი და სასურველი თანაგრძნობა ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. აგერ თერთმეტი წელიწადია, რაც არსებობს ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულობა და ილწვის შეძლებისა დაგვარად, მაგრამ ამ ხანგრძლივის არსებობის განმაელობაში, თუ არა ვსცდებით, არც ერთხელ არ შემდგარა მისი წლიური კრება პირველს დანიშნულს დღეს და ყოველთვის მეორე ვადისათვის დანიშნულა, იმიტომ რომ პირველ ვადაზე არ მისულა იმდენი წევრი, რამდენის დასწრებაც საჭიროა „საზოგადოების“ წესდების ძალით, რომ კრება კანონიერი იყოს. საზოგადოების მეთაურებმა იფიქრეს, იქნება ეს გარემოება იმას უნდა მიეწეროს, რომ კრებანი ინიშნება გაზაფხულის გასულს, თიბათვის დამდეგსა და ხან მიწურულებშიაცაო, ესე იგი, მაშინ, როცა ნასწავლი და კეთილის საქმის გულ-შემატკივარი ქართველობა უკვე თავს ანებებს ტფილისსაო და სხვათა შორის ამიტომ შესცვალეს ეს დრო საზოგადო კრებისა. ეს მეორე წელიწადია, წლიური კრებანი იმართება შემოდგომაზე, სწორედ იმ დროს, როცა ყველა თავმოყრილია ტფილისს და გაცხარებული საზამთრო სეზონი იწყება. ამ გარემოებამაც ვერა უშველა-რა საქმეს. პირველს ვადაზე მაინც ნაკლებად იკრიბებიან წევრნი და საზოგადოება ისევ იძულებულია გადასდოს ხოლმე წლიური კრება მეორე ვადისათვის და იმ ვადაზე-კი კრება კანონიერად გამართულს კრებად ითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მართლაც, მოგროვდება მეორედ დანიშნულს ვადაზე ოციოდე კაცი და კრებაც გაიმართება ხოლმე.

ეს ერთი ამბავიც, ჩვენის აზრით, საკმაო მჭევრმეტყველებით ჰლალადებს, რაოდენად გულ-გრილნი და უზრუნველნი ვართ, რაოდენად მცირეა ჯერ კიდევ ჩვენში ხალისი და თანაგრძნობა ისეთის საქმისა, როგორიც არის გავრცელება წერა-კითხვისა ქართველთა-შორის.

მეორე გარემოება, ამავე გულ-გრილობისა და თავ-შეუდებლობის დამამტკიცებელი, ის არის, რომ საწევრო ფული ნაკლებად შეაქვს თითოეულს წევრს საზოგადოებისას. ყოველ-წლივ, ანგარიშით, უნდა შეუვიდეს საზოგადოებას ამ ფულისა 3000 მან. მაინც. ხოლო არ ყოფილა, ვგონებთ, წელიწადი, რომ ეს შესავალი ალმატებოდა ორმოც-სამოც თუმანსა. „საზოგადოების“ გამგეთ თითქმის ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ამ წყაროს „საზოგადოების“ შემოსავლისას სასურველის სიუხვით ედინა, მაგრამ ამაოდ. წევრთა გულგრილობა ვერამ გასტეხა. შეჰქონდა ყოველ-წლივ თავისი საწევრო ფული მხოლოდ თითო ოროლას, ისე რომ წელიწადში ამ გზით, ზემოხსენებულ შემოსავლის მაგიერ, „საზოგადოებას“ შესდიოდა ოც-და-ათი, ორმოცი, იშვიათად სამოცი თუმანი. მაგალითად, საანგარიშო წლის განმაელობაში საწევრო ფული საზოგადოებას მიუღია მხოლოდ 634 მან. ამაში ერთს 300 მან. შეუტანია, ესე იგი თავისი შესატანი ერთბაშად მოუშორებია და მით სამუდამოდ მოუხდია თვისი ვალი [1]). დანარჩენ 300-ზე მეტს წევრს შეუტანია მხოლოდ 334 მან., ზედი-ზედ რომ ვიანგარიშოთ, თითოზე თითო მანეთი ძლივს მოდის.

ჩვენს საერთო გულ-გრილობას საქვეყნო და საკეთილო საქმეებში ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოდ ქართველობაში იშვიათია დიდი და უხვი შეწირულება გაიმეტოს ვინმემ საშვილი-შვილო საქმისათვის. თუ ანგარიშში არ მივიღებთ თითო-ოროლა მაგალითს, არ გვახსოვს, რომ ას და ორას თუმნობით შეეწიროს ვისმე რომელისამე დაწესებულების სასარგებლოდ. მხოლოდ თითო-ოროლა გროშობით ჰგროვდება ფული ისეთის საქმეებისათვის, როგორიც არის, მაგალითად, ქართული დრამატიული საზოგადოება, წინამძღვარიანთ სკოლა, დ. ბაქრაძის ფონდი, მომავალ დედათა სკოლა და სხვ. აგერ მესამე წელიწადია შეწირულებანი გროვდება მომავალ დედათა სკოლისათვის, რომლის სარგებლობა ასე ცხადია ყველასათვის და დღემდე რაღაც საცოდავი ორას-სამასი თუმანი ძლივს არის მოგროვებული. ასეთსავე ყოფაშია ბაქრაძის ფონდისა, წინამძღვარიანთ სკოლისა და სხვა საკეთილო დაწესებულების საქმე ჩვენში.

მხოლოდ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები თუ ასულდგმულებენ თავიანთის უხვის შეწირულებითა ყოველს ჩვენში დაწყებულს საერთოდ სასარგებლო და საქველ-მოქმედო საზოგადოებათა. ტფილისის ბანკმა, მაგალითად, რომელიც მარტო თავად ინახავს თავის ხარჯით ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, შესწირა ერთ ხანად უხვად შესაწირავი ქართულ-დრამატიულ საზოგადოებას, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და წრევანდლიდამ წინამძღვარიანთ-კარის სკოლასაც ყოველ წლივ საკმაოდ დიდი შემწეობა აღუთქვა.

---

[1]) ვისაც ერთხანად უნდა მოიშოროს თავისი საწევრო ფულის შეტანა, უნდა გადიხადოს, თუ დამფუძნებელი წევრია, 300 მან., ხოლო თუ ნამდვილ წევრად ითვლება, 100 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ აც, თუ ფეხი მოიკიდა და დღეს აკეთებს რასმე, თუ არ ვცდებით, იმ 12,000 მ. მეოხებით მოიკიდა, რომელიც ტფილისის სადგილ-მამულო ბანკმა გადასდო თავის წმინდა მოგებიდამ ამ საზოგადოების სასარგებლოდ მის დაარსების პირველ ხანშივე. ცხადია, რომ ასეთს გარემოებათა შორის მყოფი საზოგადოება სასურველად ფრთას ვერ გაშლის და იმდენს ვერას გააკეთებს, რამდენიც გასაკეთებელია, განათლებით და წერა-კითხვის ცოდნით ისეთს დაქვეითებულს ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა.

II

აკი იმიტომაც, პირველ ხანებში, როცა „საზოგადოებას“ ფული ბლომად ჰქონდა და მით ზურგი მაგარი, მისი გამგეობა საქმესაც დიდის მხნეობით შეუდგა, დიდის ხალისით გაუძღვა თავის მოვალეობას და ქვეყნის ყურადღებაც მიიქცია ცოტად თუ ბევრად. პირველს ორ-სამ წელიწადში „საზოგადოებამ“ მოჰკრიბა ცნობანი ჩვენში დაარსებულის სკოლების შესახებ და მათ შორის ყველა გაჭირვებულს გაუწოდა ასე თუ ისე ხელი შველისა და დახმარებისა, დააარსა სტიპენდიები გორის საოსტატო სემინარიაში, დაჰმართა საკუთარი სკოლები (ტფილისისა [2]), წინარეხისა, თონეთისა, ბათუმისა), შეუდგა დაარსებას ძვირფასის ძველ ხელთ-ნაწერების ბიბლიოთეკისას, გამოაცხადა პრემიები და სხვა-და-სხვ. ხოლო შემდეგ, რაკი საქმე იმაზედ მიდგა, რომ ღონის-ძიების სიმცირის გამო, ყველაფერში უნდა ზოგი და ყამი გაეწია, „საზოგადოების“ სიცოცხლესაც უფერულობა დაეტყო, ხალისი მოაკლდა. და მხოლოდ ამ ბოლოს დროს ჩვენმა „საზოგადოებამ“, რაკი შეატყო რომ უსახსრობით მეტად ხელ-მოკლეობს, კვლავ გამოიფხიზლა და მხნედ შეუდგა ღონის-ძიების მატებასა, ფულის ბლომად შეგროვებასა. ამ აზრით მიჰმართა ისეთს წყაროებს, როგორიც არის ლატარია-ალეგრების მართვა, სააგენტოების დაარსება საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში, სამზრუნველოების დაფუძნება იქ, საცა სკოლები აქვს დამართული, და წიგნის მაღაზიის მომართვა და მოწყობა [3]). ამ გამოფხიზლებითა და გამხნევებით „საზოგადოებას“ თუმცა გაუძლიერდა ცოტაოდნად თანხა და ღონისძიება, მაგრამ არც იმოდენად, რომ მით ბევრის რისამე გაკეთება შეიძლებოდეს. ორას სამასის თუმნის მომატება ყოველ წლივ ბევრს ვერას შეაძლებინებს „საზოგადოებას“, რომლის მოვალეობა და მოღვაწეობა იმდენად რთულია, რომ ათასის თუმნობით უნდა იხარჯებოდეს წელიწადში და მაშინაც იქნება თვალად კიდევ არა გამოჩნდეს-რა გაკეთებული. ორას-სამასი და თუნდ ოთხას-ხუთასი თუმანი წვეთია ზღვაში მაშინ, როცა საქმე მიმდგარია წერა-კითხვისა და წიგნის გავრცელებაზე მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ამ მხრით მაინც აკი ბევრი არა გაკეთებულა-რა საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენის საზოგადოების გამგეობის მიერ. მთელი ანგარიში რომ გადაათვალიეროთ, თითქმის ერთი იმეთი ახალი საქმე არა შეგვხვდებათ-რა, რომ გულმა გაიხაროს და თვალმა სიამოვნებით შეისვენოს. სკოლები რაც წინად იყო დაარსებული, ისევ ისინივე არსებობს დღესაც, წიგნებში მხოლოდ ერთი დაუბეჭდიათ, სახელდობრ, რ. ერისთავის თხზულებათა მეორე ნაწილი, ასე 120 თუ 150 გვერდიანი და სხვა არაფერი.

ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ „საზოგადოებას“ ბეჯითად უდევნებია თვალ-ყური თავის უკვე არსებულს სკოლებისათვის, დაუგზავნია იქ რევიზორები და მათი მოხსენება საკმაოდ ვრცლად ჩაურთავს წრევანდელის წლის ანგარიშში. მაღაზიის წარმოებას აქ მხედველობაში არ ვიღებთ, რადგან იგი მაღაზია დაფუძნდა ამ ორის წლის წინად და არა საანგარიშო წელს და არსებობს განსაკუთრებით მდივნისა და მის თანაშემწეს მხნეობითა, რისთვისაც ერთსაცა და მეორესაც წმინდა მოგებიდამ ეძლევათ ჯეროვანი სარგებელი, რომელიც დღემდე იყო 20% და დღეის იქით შეიქმნა, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, 25%-ად. საზოგადოების მონაწილეობა ამ საქმეში მხოლოდ იმით იჩენს თავს, რომ იგი თავის სახელით მფარველობას უწევს ამ საქმეს. საზოგადოება სხვაფრივაც დაეხმარა მაღაზიას, სახელდობრ მით, რომ შეაძლებინა მაღაზიას ჩაეგდო ხელში ყიდვა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარისა“. ამ აზრით საზოგადოების გამგეობა გაურიგდა ჯერ ისევ შარშანვე ზემოხსენებულის სახელმძღვანელოების ავტორს, რომელიც საჭიროებისამებრ ჰბეჭდავს „დედა-ენასა“ და თითო წიგნს უთმობს საზოგადოების მაღაზიას თითოს თითო აბაზად [4]). მაგრამ ყოველივე ეს ორის წლის წინად იქმნა გარიგებული და გაკეთებული და არა საანგარიშო წელს.

როცა ვამბობთ, გამგეობას ბევრი არა გაუკეთებია-რა საანგარიშო წლის განმავლობაშიო, ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ პირდაპირი მისი მოვალეობა — გავრცელება წერა-კითხვისა, ბეჭდვა წიგნებისა და სხვა ამ გვარი საქმენი. რაიცა შეეხება ღონისძიების მატებას, ამაში-კი, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, საზოგადოებას თავისი მეცადინეობა საკმაოდ გამოუჩენია. ორას-სამასის თუმნის შეძენაც [5]) იმისთანა, საზოგადო საქმეში გულ-გრილ, ქველ-მოქმედებაში ხელ-გაუშლელ მკვიდრთა შორის, როგორნიცა ვართ ჩვენ, არ არის მცირე საქმე. მაგრამ წერა-კითხვის გავრცელებას-კი ძალიან ნაკლებად უშველის ამით ჩვენის საზოგადოების გამგეობა. როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ორას-სამასი თუმანი წვეთია მხოლოდ ზღვაში, ერთი ლუკმაა, რომელიც უნდა განაწილებულ იქმნას ათასსა და ათი-ათას პირ-დაღებულთა და მშიერთა-შორის.

III

ღონისძიების ასეთის სიმცირის გამო გამგეობის მოქმედებაც მცირეა, მიკროსკოპიული, მეტად იოლიანი და ზედ აზის ბეჭედი დიდის სიფრთხილისა, მომჭირნეობისა, ხელ-გაუშლელობისა. სულ 20 მდე მუხლია ჩამოთვლილი გასავლისა და ამ ოც მუხლში მხოლოდ ბათუმის სკოლაზეა დახარჯული ბლომად ფული. ბათუმის სკოლას ან-კი რას ემართლებოდა გამგეობა, როცა მისმა სამზრუნველომ თვით შეაგროვა თითქმის 2000 მანეთამდე განსაკუთრებით ამ სკოლისათვის. საკუთრად საზოგადოებას თავისი ფული ამ სკოლაზე წლის განმავლობაში 200 მანათზე მეტი არ დაუხარჯავს. დანარჩენ გასავლის 19 მუხლშიაც ასეთი სიმცირე, ასეთი ხელმოკლეობა, ასეთი იოლიანობა სჩანს. ამათში თითქმის არც ერთის მუხლის ხარჯი 400 მანეთს არ აღემატება. მარტო მდივნის ჯამაგირი მოსჩანს დიდ ფულად ამ მცირე რიცხვთა შორის. მაგრამ განა 600 მან. მდივნის ჯამაგირი დიდ ფულად ჩაითვლება იქ, საცა ყველა წვრიმალი საქმე, ათასი იწა-ბაწა, გულ-გამაწვრილებელი, თავში-საცემი და სავაგლახო მისვლა-მოსვლა, მიწერ-მოწერა, ჩაწერ-ამოწერა მდივანს აწევია თავსა?!

ასეთს შევიწროებაში ყოფილა ჩვენის „საზოგადოების“ გამგეობა მთელის წლის განმავლობაში, რასაკვირველია, უფრო ჩვენის გულ-გრილობისა და ჩვენის ხელ-მაგრობის გამო. გამგეობა, თავად ეტყობა, რაც შესძლებია, იმდენსა ცდილა, რომ პატარა ბლომად მოეპოვა ღონისძიება და მოუპოვებია კიდეც თითქმის ას თუმანზე მეტი, ვიდრე იმედი ჰქონდა წლის დამდეგს. მაგალითად, შარშანდელის ხარჯთ-აღრიცხვით გადაუწყვეტიათ 4370 მან. ხარჯი ვიქონიოთო და დაუხარჯავთ-კი 5254 მან. 47 კ., 884 მან. 48 კაპეიკით მეტი. მეტი დაუხარჯავთ იმიტომ-რომ ცდილან, გარჯილან და მოსალოდნელზედ მეტი შემოსავალი უზრუნვიათ. როგორც ზემო შენიშვნაშიაც მოვიხსენიეთ, ეს შემოსავალი ყოფილა სულ საერთოდ 6230 მან. 14 კაპ.

აბა გამგეობასავით გავრჯილიყავით ჩვენც, წევრნიც, მთელი ქართველობაც და ორჯელ და სამჯერ მეტი ფული მიგვეწვდინა საზოგადოებისათვის. აშკარაა, რომ მოქმედება „საზოგადოების“ გამგეობისა არ იქნებოდა მაშინ ისეთი მცირე, ისეთი შეფერხებული, როგორსაც ვხედავთ წრევანდელის ანგარიშით. ერთის წიგნის მაგიერად, მაშინ სამსა და ოთხს დაჰბეჭდავდა; 25 მან. წიგნების მაგიერ, ასის თუმნის წიგნებსა და სასწავლო ნივთებს დაუგზავნი[და] გაჭირვებულს და ღარიბს სასოფლო სკოლებს; თუ დღეს ბათუმში აქვს მარტო სკოლა, მაშინ აჭარა-ქობულეთშიაც გამართავდა, ბორჩალოს ქართველობასაც უზრუნველად არ დასტოვებდა, ახალქალაქ-ახალციხის მაზრასაც მიჰხედავდა და იქნება მოზდოკ-ყიზლიარის ქართველობისათვისაც მოეხერხებინა რამე. მაგრამ სად იყო ხიუხვე ჩვენის მხრით, რომ გამგეობას ასე ვრცლად გაეშალა ფრთა, ასეთის სიფართოვით შესდგომოდა თავის მოვალეობის აღსრულებას?! ჰამა ქონებაზედ ჰკიდია, ნათქვამია. საზოგადოებას ცოტა მიუწოდებია გამგეობისათვის და იმასაც ცოტა გაუკეთებია. გამგეობას ცოტა მოუთოხნია და ამის გამო ცოტაც მოუხვნია.

IV

არ შეგვიძლიან ერთი გარემოებაც არ აღვნიშნოთ. თუ ერთის მხრით ჩვენმა გულ-გრილობამ შეუკრა ხელფეხი გამგეობას, მეორეს მხრით თვით გამგეობას შეეძლო როგორმე დაეძლია ნა ჩვენი გულ-გრილობა, გაეღვივებინა როგორმე ყველა ქართველის გულში მცირედი ნაპერწკალი მაინც თანაგრძნობისა იმ საკეთილო საქმის მიმართ, რომლის გაძღოლაც ჩვენ იმას ვაკისრებინეთ. საზოგადოება, უმრავლესობა თითქმის მუდამ გულ-გრილია ამისთანა საქმეებში, მუდამ ბურანშია, მუდამ გაკვალულს ძველს გზას მისდევს, მაღლა თავ-აუღებლივ. რჩეულთა მოვალეობაა, ითავონ და გამოაფხიზლონ ასეთი საზოგადოება, ითავონ კეთილი საქმე და მის განხორციელების იმედი აღძრან მკვიდრთა უმრავლესობის გულში. აქაო და საზოგადოება გულ-ცივია, მაღალ და წმინდა სურვილებს თითქმის მოკლებულიო, რჩეულმა კაცებმა რომ გულხელი დაიკრიფონ და სთქვან, რა ვქნათ, ჩვენი რა ბრალია, რასაც გვაძლევთ, ჩვენც იმას გიბრუნებთ უკანაო, ქვეყნის საქმეს წინ აღარა წასწევს-რა. არა, რჩეულთა მხრით, საჭიროა უფრო ბევრს მოველოდეთ და საქმის გაკეთებას იქა ვსთხოვდეთ, საცა სხვა ვერას გაარიგებს, ვერას გააკეთებს. ასეთი რჩეულნი არიან ჩვენის „საზოგადოების“ გამგეობის წევრნიცა. იმათი ვალია, მეტის მხნეობით მოეკიდონ საქმეს, მეტი თავ-გამოდება, მეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინონ განათლების წმინდა საქმეში და თავიანთის მაგალითით გაამხნეონ სუსტნი, გამოაფხიზლონ ძილს მიცემულნი. გამგეობა არ უნდა შეუშინდეს სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომელიც იმას წინ ელობება. ვარდით გზა ამ წუთი-სოფელში არავის არა აქვს დაფენილი. საქმე ის არის, რომ კაცმა, თუ კაცთა კრებულმა, დაბრკოლებას მხარი აუქციოს, თუ გადალახვა არ შეიძლება, ეკლიანი გზა გაჰკაფოს და იქ ახეიროს სიკეთე, საცა ხიავის მეტი არა ხეირობს-რა. ფული და ნივთიერი ღონისძიება, რასაკვირველია, დიდი საქმეა, მაგრამ ხან და ხან უფულოდაც, მცირე ღონის ძიებითაც, მხნეობა და საქმის სიყვარული სასწაულებს სჩადის.

რომ გამგეობა ნაკლებად მხნეობს იქ, საცა მცირედი რამ დაბრკოლება დაჰხვედრია, მოვიყვანთ ერთს მაგალითს ამის საბუთად და დასასურათებლად. შარშანდელის წლიურის კრების განაჩენში მოხსენებული იყო ერთი ფრიად საყურადღებო წინადადება საზოგადოების ერთ-ერთის წევრისა სოფელ რეხის შესახებ. ეს სოფელი ბორჩალოს მაზრაშია, გარშემო თათრებისა და სომხების სოფლები არტყია და იქაურმა ქართველებმა ლამის ენაც-კი დაივიწყონ ქართული, არამც თუ წიგნი და წერა-კითხვა. ზემოხსენებულმა წევრმა ურჩია გამგეობას, მიაქციეთ ამ სოფელს ყურადღება და სკოლა გაჰმართეთ იქაო. გამგეობას ამ საგნისათვის, როგორც სჩანს წლიურის ანგარიშიდამ, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ვსთქვათ, ახალის სკოლების გამართვის საქმე გამგეობისათვის დაბრკოლებულია იმ წესით, როგორც თვითონ უნდა, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა. რაო მერე! განა გამგეობას არ შეეძლო სხვაფრივ მოევლო ამ საქმისათვის? ბორჩალოს მაზრაში რამდენიმე ნასწავლი და განათლებული ქართველია, რომელთა გულ-შემატკივრობა ქართველობისათვის ყოველ ეჭვ-გარეშე უნდა იყოს. იქ მაზრის უფროსი ქართველი კაცია, მისი თანაშემწე აგრეთვე, გამომძიებელი ქართველია, სამოსამართლო ბოქაული ქართველია, ოთხი საბოქაულოა და ოთხივეში ქართველი ბოქაულნი არიან. ვგონებ ადვილად შეიძლებოდა ამ ქართველთათვის მიემართნა გამგეობას და ეთხოვნა, დაეარსებინათ სამზრუნველო, ეზრუნათ ორმოციოდე თუმანი წელიწადში და დაეარსებინათ სკოლა რეხაში, ან სხვა ბორჩალოელ ქართველთ სოფელში, ისევე, როგორც კავკავში იქმნა დაარსებული სკოლა იქაურ ქართველთათვის.

V.

გავათავოთ ეს წერილი და, დასასრულ, ვისურვოთ, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მეტი თანაგრძნობა მოეპოვებინოს ჩვენს ქვეყანაში, მეტად გაძლიერებულიყოს მისი ნივთიერი მდგომარეობა და თვით გამგეობაც მეტის მხნეობით შესდგომოდეს თავის რთულ და წმინდა მოვალეობის აღსრულებას. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ თითოეული გროში, რომელიც ამ საქმეს მოხმარდება, ას და ათას თუმნად გადაიქცევა შემდეგში, რომ თითოეული წვეთი მხნეობისა, წერა-კითხვის გავრცელებაზე დახარჯული, შესაძლოა, ზღვად გასკდეს ათისა და ოცის წლის შემდეგ. ყველას საერთოდ და თითოეულს ცალკე უნდა გვახსოვდეს და არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ გაძლიერება და წარმატება „საზოგადოებისა“, ჩვენის ქვეყნის წარმატება და გაძლიერებაა და, ვინც ემსახურება ამ საქმეს, ის ემსახურება სიკეთეს, სიმართლეს, ჩვენის ბედ-იღბლის განკარგებას, ჩვენს მომავალს, ჩვენის უკეთესის მერმისის მოახლოვებას.

გ—გ

[2]) ტფილისის სკოლა თავის არსებობის მეორე წელიწადშივე იქმნა გაუქმებული, რადგან დიდ-ძალი ფული უნდებოდა.

[3]) წიგნის მაღაზიის, ანუ წიგნების სავაჭრო საწყობის დაარსების აზრი „საზოგადოებას“ თავის არსებობის მეორ-მესამე წელსვე მოუვიდა ფიქრად, მაგრამ მხოლოდ ეს ორი წელიწადია, რაც განხორციელებულ იქმნა.

[4]) საანგარიშო წელს ბ-ნს ი. გოგებაშვილს დაუბეჭდია 12,000 „დედა-ენა“ და აუღია ამაში „საზოგადოებისაგან“ სულ 2,400 მან. ეს არის სულ წიგნის დაბეჭდვის ხარჯიცა და ავტორის სასყიდელიცა.

[5]) ჩვენ აქ იმ ფულს ვანგარიშობთ, რომელიც განსაკუთრებით გამგეობის მხნეობით და მეცადინეობით არის შეგროვებული. არ ვანგარიშობთ იმ ფულს, რომლის შესაგროვებლად გამგეობას პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია. ასეთი ფულია, მაგალითად, შეწირულებანი 649 მან. 56 კაპ., მაღაზიის მოგება 844 მან. 2 კაპ., ბათუმის სამზრუნველოს მიერ მოგროვებული 1838 მან. სულ 3331 მან. ეს ფული იმ ფულის ნახევარზე მეტია რაც წლის განმავლობაში შეუვიდა საზოგადოებას. ეს წლიური საერთო შესავალი იყო საანგარიშო წელს სულ 6,230 მან. 14 კაპ.

## ახალი ამბავი

*** 22-ს ამ ნოემბერს სახელმწიფო ქონებათა გამგებელის კანცელარიის დარბაზში მიწვეულ იქმნა კრება ფილოქსერის კამიტეტის წევრთა. კრებამ ყოველთ უწინარეს მოისმინა მოხსენება ექსპერტებისა-აგრონომებისა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ამ წელს გამოეკვლიათ ამიერ და იმიერ კავკასიაში ის ადგილები, საცა ვენახებია, იმ აზრით, რომ აღმოეჩინათ სად არის და სად არა უკვე გაჩენილი ფილოქსერა. ამ მოხსენებიდამ გამოჩნდა, რომ ტფილისის გუბერნიაში არსად არ შეუნიშნავთ ფილოქსერის არსებობა. ქუთაისის გუბერნია-კი ძალიან მოდებულია ფილოქსერით, ნამეტნავად შორაპანის მაზრა. შეუმჩნევიათ, რომ ფილოქსერა მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთისაკენ, დაჭერილი აქვს უფრო ძლიერად ორივე მხარე ყვირილასი, აქედამ მიდის თურმე აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ და ისე ახლო მოსულა ტფილისის გუბერნიაზე, რომ ამ გუბერნიის და ფილოქსერიან ადგილებშუა სულ

ოც-და-ხუთი ვერსი-ღაა. თუმცა შუა სურამის მთაა, მაგრამ ფილოქსერის გავრცელებისათვის ეგ მთა ბევრს არასფერს დაბრკოლებას არ წარმოადგენსო, რადგანაც ფილოქსერა შესაძლოა კაცმა გადმოიყოლოს ტანისამოსს, სამუშაო იარაღს, ვაზის რქას და სხვას ამისთანასო.

შემდეგ ყოველ ამისა დადგენილ იქმნა ფილოქსერის კომიტეტის თავმჯდომარისაგან განსაკითხად რა გზით, სად და რა ღონის ძიებით, წინააღუდგეს მთავრობა ფილოქსერას. ვიდრე ამის პასუხს იტყოდნენ, საჭიროდ დანახულ იქმნა გამოერკვიათ, რა განზრახვით არის საჭირო ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ, სახელდობრ: გვინდა ტფილისის გუბერნია გადავარჩინოთ ფილოქსერას, თუ ეს შეუძლებელია და ჩვენი ღონე უნდა მივმართოთ ქუთაისის გუბერნიას იმ აზრით, რომ აქ ვეცადოთ შევასუსტოთ ფილოქსერა და ამით ხანი და დრო მივცეთ ვენახების პატრონებს რაც შეიძლება დიდხანს შეირჩინონ ვენახები და ამ ხანის განმავალობაში აწინდელ ვაზის მაგიერ სხვა იმისთანა ვაზი ჩაჰყარონ, რომელიც ფილოქსერას უძლებს და არ ელახვინება.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა გამოჩნდა, რომ ტფილისის გუბერნიის გადარჩენისათვის არავითარი ღონის ძიება არ არის ჭკუაში მოსასვლელი და ყოველივე ცდა ამაო იქნება. ერთად-ერთი ღონე ამისათვის სრულად ამოგდებაა იმ ვენახებისა, სადაც ეხლა ფილოქსერაა, რომ ვაზთან ერთად გასწყდეს თითონ ფილოქსერაცა. ეს დიდს ხარჯს მოითხოვს, დიდს ზარალს მისცემს ვენახების პატრონებს და ამასთანაც ისიც არვინ იცის, ამოიკვეთება სრულად ფილოქსერა, ან სხვა გზით საითმე ხელ-ახლად არ გავწევა? ამიტომაც გადასწყვიტეს, რომ ისევ სჯობია ქუთაისის გუბერნიაში შევეცადნეთო რაც შეიძლება მხნედ ვებრძოლოთ ფილოქსერას, რაც შეიძლება შევასუსტოთ მისი ძლიერება და ამ დროს განმავლობაში მაგალითები ვაჩვენოთ მევენახეებს როგორ ეწამლება ფილოქსერას და ამასთანაც საცდელად გავაჩინოთ სხვა-და-სხვა გვარისა ამერიკული ვაზი, რომელიც ცნობილია, რომ ფილოქსერას უძლებს და ამ ვაზის რქა და თესლი დავურიგოთ მსურველთ ვენახებში გასაჩენადაო. აღმოჩნდა, რომ ამ გვარად საცდელი ადგილი ყვირილას ახლო უკვე აუჩენია კომიტეტს და წელსვე აპირობენ ამერიკის ვაზის დათესვასა. ჰსურთ, რომ ექსპი დღიური მაინც მოანდომონ ამ საქმეს.

დადგენენ რა ამ უკანასკნელს საგანზე, გადასწყვიტეს საკუთაოდ დაინიშნოს ხუთი გუნდი. ერთი გაიგზავნოს ქუთაისის გუბერნიაში, სამი ამოქმედონ ტფილისის გუბერნიაში და ერთი დაინიშნოს დაღესტანისა და ბაქოს გუბერნიისათვის. ამ გუნდებს გარდა ფილოქსერის საქმისა მიენდობათ ისიც, რომ სადაც საჭირო იყოს, იქ უწამლონ ნაცარსა და მილდიუსაცა და ამით ხალხს ასწავლონ წამლობა. სამს ტფილისის გუნდს ეყოლება მოთავედ ერთი ექსპერტი აგრონომი, ორი უფროსი შემწე და ათი უმცროსი. ქუთაისის გუბერნიაში გუნდს შეადგენს ერთი ექსპერტ-აგრონომი, სამი უფროსი და თორმეტი უმცროსი შემწე. ექსპერტს დანიშნავს კომიტეტი, უფროს შემწეებს — თავმჯდომარე კომიტეტისა და უმცროსებს აირჩევს თვით ექსპერტი, რომელმაც არჩეულთა სია უნდა წარუდგინოს კომიტეტს საუწყებლად. ხარჯისა და ჯამაგირების აღრიცხვისათვის სხვა დროს იქნება კომიტეტი მოწვეული.

*** ჩვენ მოგვივიდა გურიიდამ ბ-ნ ჯამულეთ ბაჟუნაიშვილისაგან 1 მან. იმ ფულის მისამატებლად, რომელიც მოგროვდა ჩვენს რედაქციაში განსვენებულის იასებ დავითაშვილის ძეგლის ასაგებად. ამ ფულისა იყო დღემდე 95 მან. ამიანად შესდგა 96 მან.

*** ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, ტფილისის სათავადმამულო ბანკის დარბაზში იყო წლიური კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა. კრება დაიწყო დღის 11 საათზედ. ვიდრე ანგარიშის განხილვას შეუდგებოდნენ, კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა ხსენებას საზოგადოების წელს გარდაცვალებულის წევრთა ხსენებას: ანნა მუსხელოვისას, დიმიტრი ბაქრაძისასა და თ. ვახტანგ ორბელიანისას. შემდეგ კრების თავს მჯდომარემ მოკლედ გააცნო კრებას ანგარიში საზოგადოების მმართველობის მოქმედებისა პირველ სექტემბრიდამ 1889 წ. პირველ სექტემბრამდე 1890 წლ. ეს ანგარიში ჩვენს გაზეთთან ერთად დაურიგდათ ჩვენს მკითხველებსა და მაშასადამე უკვე ეცოდინებათ მისი შინაარსი. ანგარიშის გამო მცირე ბაასი და კამათობა გაიმართა კრებაზედ. ეს ბაასი და კამათობა შეეხებოდა ძველის ხელ-ნაწერების ბიბლიოთეკისათვის საკუთარის სახლის შეძენას, ძველის ფულის კოლექციის შედგენას, წევრთაგან საწევრო ფულის შეუტანელობას საზოგადოების სასარგებლოდ, პროფესორის ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის შეძენას „საზოგადოების“ მიერ, წიგნის მაღაზიის მოგებიდამ მეტის წილის მიცემას მდივნისა და მის თანაშემწესათვის, მოძრავ სკოლების გამართვასა და სხვა-და-სხვ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა სამერმისო წლისათვის და აარჩია ახალი წევრნი როგორც ნამდვილნი, ისე საპატიონი. საპატიო წევრად არჩეულ იქმნენ: მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელ, რომლის ხარჯითაც თხუთმეტი წელიწადია არსებობს ორ-კლასიანი სკოლა ს. აფელ ბახვში და რომელსაც სხვაფრივაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში განათლების გავრცელების საქმეში და ბ-ნი ი. ს. გოგებაშვილი, რომელიც აგერ 25 წელიწადია ილვწის წერა-კითხვის გავრცელებისათვის ხალხში და რომელსაც რამდენიმე სახელმძღვანელო აქვს შედგენილი პირველ-დასაწყისის სწავლის გავრცელებისათვის. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, გადუხადოს მადლობა ბ-ნს გ. ზ. ყიფიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო კავკავის სკოლასა და შეადგინა რამდენიმე სამათემატიკო სახელმძღვანელო სკოლებში სახმარებლად. კრება გათავდა ნაშუადღევის ორს საათზედ.

*** ორშაბათს 26 ნოემბერს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. სხვათა შორის კრება მოისმენს მოხსენებას ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგებლის ბ-ნ ე. გ. ოსტაპოვიჩისას: „გაჩირვა და გახმობა ხილისა და მწვანილეულობისა ტფილისის საბაღოსნო სკოლის მიერ“. კრებაზედვე იქნება გამოფენილი ნიმუშები გაჩირულის ხილისა და გახმობილის მწვანილეულობისა. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ტფილისში ბევრს ლაპარაკობენ ერთს ბერლინიდგან გამოქცეულს ბანკის პატრონზედ, რომელსაც მილიონ ნახევარი მარკა მოუპარავს და გამოქცეულა გერმანიიდგან ტფილისში. ეს კაცი სამს კვირას თურმე სხვის სახელით სცხოვრებდა ტფილისის ერთს სასტუმროში. ეს ამბავი პოლიციამ შეიტყო და როდესაც მივიდა იმის ნომერში, ნომერი შიგნიდამ დაკეტილი დაუხვდა პოლიციამ კარი გამოამტვრია და გასინჯა ოთახი, მაგრამ იმ ოთახში გამოქცეულის დამნაშავის სხვა-და-სხვა უვარგის ავეჯის მეტი ვერა იპოვნა-რა. თითონ დამნაშავე ვერსად იპოვნეს. საკვირველი ის არის, რომ კარი შიგნიდგან იყო დაკეტილი გასაღებიც შიგ იყო და ოთახში-კი ვერავინ ვერ იპოვნეს. თუ ოთახში იყო ის კაცი, როგორ გამოეპარა პოლიციას? პოლიცია გაჩქარებული დაეძებს ქურდს, მაგრამ ჯერ ვერას გამხდარა-რა.

*** ჩვენმა სამკურნალო საზოგადოებამ ერთს თავისს კრებაზე დაადგინა, რომ პროფესორს კოხს, რომელმაც გამოიგონა ჭლექის მოსარჩენი წამალი, ბერლინში გავუგზავნოთ მადლობის ადრესი და ამ ადრესის გადაცემა მივანდოთ ექიმ ბ-ნ მაისურიანცს, რომელიც თავის ხარჯით მიდისო. ეხლა რადგანაც აღმოჩნდა, რომ ბერლინში ამ აზრით, ბ-ნ მაისურიანცს გარდა, სხვა ექიმებიც მიდიან, მაგალითად, ბ-ნნი გაუდელინი, ავთანდილოვი და სხვანი, სამკურნალო საზოგადოებამ დაადგინა, რომ მადლობის ადრესი კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა პროფესორ კოხს ფოსტით გაუგზავნოს.

*** ქუთაისი: ჩვენი დრამატიული დასი, რომელიც აგერ თითქმის ერთი თთვეა, რაც მოღვაწეობს ბ-ნ კ. მესხის მოთავეობით, 25 ნოემბერს კარგს გასართობს გვპირდება. ამ დღისთვის დანიშნული აქვს წარმოსადგენად „ბორკილი“, დრამა 4 მოქმედებად, თხზულება ჩვენის თანამემამულესი, თ. ა. სუმბათაშვილისა.

21 ამ თვისას ბალის ქუჩაზე, მარქაროვის სახლის ალაყაფის კარებთან იპოვნეს გვამი ახლად დაბადებულის ბავშვისა. ექიმმა მალალაშვილმა შეამოწმა ბავშვის გვამი და სთქვა, რომ ცოცხლად დაბადებულია და მერე მომკვდარაო.

*** 20 ნოემბერს ვერაზე, იქაურს „Сѣверные номера“-ში ნადვორნი სოვეტნიკმა ვასილ მანინმა იპოვნა ოქროს სამაჯური და პოლიციას წარუდგინა. ვინც ნამდვილს საბუთს წარუდგენს, რომ სამაჯური იმას ეკუთვნის, პოლიცია იმას გადასცემს მის საკუთრებას.

*** ამ თთვის 22 ავლაბარში უეცრად გარდაიცვალა ქვრივი ტფილისის მცხოვრებლის ალექსანდრე სერგეის ძის მედინცევისა. მიცვალებულს ჭრილობა აღმოაჩნდა თავში. გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, დილის 10 საათზე, იარმუკაში პოლკოვნიკის ბარაკოვსკის მოსამსახურე ჯარის კაცს როდიონ კურინს მოჰპარეს 15 მანათად ღირებული ვერცხლის საათი.

*** 22 ნოემბერს პოლიციის მეექვსე ნაწილში, წოვიანოვის სახლში ცუდის ყოფაქცევის დედაკაცს რაჭის მაზრის მცხოვრებელს ს. გ—ძეს მოჰპარეს 35 მან. ღირებული თეთრეული. ეჭვი სანდრო ხანდამოვსა და სერგეი ლეპედინსკიზე გამოაცხადა, რომელნიც უკვე შეიპყრეს.

## უცხოეთი

ინგლისი. პარნელს, რომელიც აგერ 15 წელიწადია, მოთავეობს ირლანდიის განთავისუფლების მომხრე დასს პარლამენტში და მოთავეობს დიდის ნიჭითა და მხნეობით, ამ ბოლოს დროს ისეთი უსიამოვნო საქმე შეემთხვა, რომ ლამის სულ გამოეთხოვოს საპოლიტიკო მოღვაწეობას. საქმე იმაშია, რომ ამ ერთის წლის წინად ვიღაც ირლანდიელმა კაპიტანმა, გვარად ო'შიმ იჩივლა სასამართლოში, ცოლს გამყარეთ, რადგან იგი პარნელთან სცხოვრობსო. კაპიტანი ო'ში წინად მეგობარი ყოფილა პარნელისა, რომელიც მართლა დაახლოვებია მის ცოლს. ო'შის შეუტყვია ეს ამბავი და მოუთხოვნია პასუხი ირლანდიელების მოთავესაგან. პარნელს დაუჯერებია ქმარი, რომ ტყუილი ხმები შემოგსმენია და მიუცია კიდეც პირობა, რომ შენს სახლში აღარ გავივლი და არც შენს ცოლს ვინახულებო. სასამართლოში-კი დამტკიცდა, რომ, როცა ო'ში რამდენისამე ხნით სხვაგან ყოფილა, პარნელსა და კაპიტანის ცოლს ერთად უცხოვრიათ რამდენგანმე და ერთხელ კიდეც იმ ფიქრით, რომ ქმარმა არ მოასწროსო, ო'შის სახლის ფანჯრიდამ გადამხტარა და ისე გადაურჩენია უსიამოვნებას. ერთის სიტყვით, პარნელს, ამ გამოჩენილსა და სახელოვანს მოღვაწეს ისეთივე ბრალი დაედო და ისეთივე საქმე შეემთხვა, რომელმაც დაჰღუპა სულ ერთიანად ჩარლზ-დილკი, დიდის ნიჭისა და მხნეობის პატრონი საპოლიტიკო მოღვაწე ინგლისის ლიბერალთა დასისა.

ამ საგნის გამო დიდი ლაპარაკი და ალიაქოთი ატყდა არა თუ ირლანდიაში, არამედ მთელს ინგლისშიაც. ინგლისში ასეთს საქმეებს დიდის სისასტიკით ეკიდებიან და არავის არ უთმობენ მცირეოდენს საეჭვო საქციელსა და საზნეობო ყოფა-ქცევას. ირლანდიელთა დასმა მაინც ხელი არ აიღო თავისს მეთაურზე და ამ სკანდალის მიუხედავად მაინც პარნელი გამოაცხადა თავის მეთაურად. თვითონ პარნელიც, როგორც ეტყობა, არ ეთხოვება პოლიტიკას, ირლანდიელთა მეთაურობას და შეუთვლია დასისათვის, რომ თანხმა ვარ კვლავ დავრჩე ხელმძღვანელად ირლანდიის დასისაო.

რა-კი ასე დატრიალებულა საქმე, ახლა გლადსტონს მიუწერია წერილი მორლეისთვის და შეუთვლია: მე იმედი მქონდა, რომ პარნელი ხელს აიღებს პოლიტიკაზე და ირლანდიელთა დასის მეთაურობაზეო, ხოლო რა-კი ჩემმა იმედმა ამაოდ ჩაიარა, სამუდამოდ გადავწყვიტე, თვითონ მე როგორ უნდა მოვიქცე, და აი რა გადავწყვიტე: თუმცა პარნელს დიდი და დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ირლანდიის წინაშე, მაგრამ მაინც მისი კვლავ დარჩენა ირლანდიელთა მეთაურად დიდს ზარალს მოუტანს ირლანდიის საქმეს. მაგისი დარჩენა მოთავედ არა თუ ირლანდიის კეთილის მყოფელთა და მოყვარეებს ჩააგდებს დიდს გაჭირვებაში, არამედ მეც თითონ გამიჭირდება ლიბერალების მოთავედ ყოფნა. ახირება ირლანდიელებისა, რომ უთუოდ ისევ პარნელი დარჩეს ჩვენ მოთავედაო, იძულებულს გამხდის თვითონ ჩემი ყოფაც ავწონო და ვივარაუდო, რადგან მაგ შემთხვევაში, საეჭვოა რომ ჩემს სიცოცხლეში ჰომრულს გავამარჯვებინო როგორმე.

ლიბერალების გაზეთი „Daily News“-ი ამბობს, რომ ამ ჟამად, როცა პარლამენტი შეიკრიბა, სალაპარაკო და საფიქრებელი მხოლოდ პარნელის საქმე-ღაა ყველასათვისო. სხვას ყურადღებას აღარავინ აქცევს. მხოლოდ ერთის კაცისკენ არის მიქცეული ყველას თვალი. ეს კაცია პარნელი. ჩვენ შევაგროვეთ ყოველგვარი ცნობა ამ საგნის შესახებ და ის აზრი დავასკვენით, რომ ჰომრულის განხორციელება შეუძლებელი იქმნება, თუ პარნელმა თავი არ დაანება ირლანდიის დასის მოთავეობას. ჰომრულს ბევრი კენჭი მოაკლდება ინგლისელებისა, რომელთა მომხრეობაზედაც არის დამოკიდებული მისი გამარჯვება. ჩვენ კარგად გვესმის, პარნელის ამხანაგები რად ერთგულობენ ასე თავისს მეთაურს. მან დიდი სამსახური გაუწია თავისს ქვეყანას და არა მარტო ირლანდიას. პირველში პარნელს ჰყავდა მცირე დასი ობსტრუქციონისტებისა, რომელსაც არავითარს ყურადღებას არავინ აქცევდა და აი ეს დასი მან გადააქცია ძლიერ დასად და ეს დასი დღეს სავსეა ნიჭიერის კაცებითა და თავ-დადებულის მოღვაწეებით. პარნელმა ასწავლა თავისს მომხრეებს უარ-ყოფა თანამდებობათა და ისე გაწვრთნა, რომ ციხისა და პატიმრობისაც-კი არ ეშინიანთ, ოღონდ-კი იმათ ქვეყანას ეშველოს რამე. თვითონაც 6 თთვეს იყო დაპატიმრებული თავის საპოლიტიკო მოღვაწეობისათვის და დიდხანს აიტანა დევნა იმ აზრებისათვის, რომელსაც ისეთის სიმტკიცით ჰქადაგებდა. პარნელს უსამართლოდა სწამებდნენ ცილს, რომ მონაწილე იყავ კაცის მკვლელებისა, რომელთაც ფენიქსპარკში ჩაიდინეს თავიანთი დანაშაული. მაგრამ ყოველმა ამ ბრალდებამ ვერ შეარყია ძლიერება პარნელისა, ვერ მოსცხო ჩირქი მის სახელს: ეხლა-კი, თავის მიზეზით, დაჰკარგა ყოველივე, რითაც ასე ძლიერი იყო და თვით საქმესაც, რომელსაც თავ-განწირულებით ემსახურა 15 წლის განმავლობაში, ისეთი საშინელი უბედურობა დაჰმართა, რომელსაც ვერავინ სხვა ვერ დაჰმართებდაო.

## წვრილი ამბები

ქალაქ ნეაპოლის მახლობლად, ზღვის ყურეში პატარა კუნძულია, სახელად ნიზიდა, რომელზედაც საპატიმრო გამართული ათასის კაცისთვის. სხვათა შორის ამ საპატიმროშივე იმყოფება ერთი ახალგაზრდა, 25 წლის პატიმარი, რომელსაც 8 წლით კატორღა აქვს გადაწყვეტილი თავის დის საყვარლის მოკვლისთვის ქალაქ რომში. ეს კაცი ხელობით მეაფთიაქის თანაშემწე და უკვე ოთხი წელიწადია, რაც ამ საპატიმროში იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში ისე კარგად იქცეოდა, რომ პატივისცემა დაიმსახურა, როგორც ამხანაგებისა, აგრეთვე საპატიმროს უფროსებისაც. რაკი კარგად იქცეოდა, საპატიმროს მეაფთიაქემ თავის თანაშემწედ დაიყენა და ზო-

ჯერ ნებასაც-კი მისცემდა ხოლმე საპატიმროს გარედ გამოსვლისას საწამლო ბალახეულობის მოსაკრებად და მოსატანად. ერთხელ, როცა მეათვალყურე შინ არ იყო, ამ ტუსაღმა კარგად დაათვალიერა ოთახი, დაინახა რეზინის ბალიში და გულში გადასწყვიტა, ამ ბალიშის შემწეობით უნდა მოვახერხო გაპარვაო. თუ რა ნაირად აპირობდა ამ ბალიშის გამოყენებას, ეს სწორედ რომ გასაკვირია. იდროვა და, როცა მეათვალყურე კიდევ სხვაგან წავიდა, აიღო, ჩაიცვა იმის ძველი ტანისამოსი, ზემოდგან კიდევ თავისი ტანისამოსი გადაიცვა, ხელში კალათა დაიჭირა, რომლითაც ბალახეულობა მოჰქონდა ხოლმე და მინდვრისკენ გასწია, ვითომ ბალახები უნდა მოვიტანოვო. ბალიშიც კალათაში ჰქონდა დამალული. როცა კარგად გასცდა საპატიმროს, პატიმრის ტანისამოსი გადაიძრო, გადაყარა და მეათვალყურის ტანისამოსით გასწია ზღვისკენ. გზაზედ საპატიმროს უფროსიც შეჰხვდა, მაგრამ, რადგანაც ბინდი იყო, ვერ იცნო. მივიდა ზღვასთან და 3 საჟენის სიმაღლის ნაპირიდგან იშვირა ფეხი და გადახტა. რეზინის ბალიშმა უშველა და წყალმა არ დასძირა. ცურვა სრულიად არ იცოდა, მაგრამ ბალიშის შემწეობით დაიწყო ღონღიალი და კარგად გასცილდა კუნძულს. იარა, იარა და იტალიის ნახევარ—კუნძულს მოადგა. ის-ის იყო, ნაპირზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ყარაულებმა შენიშნეს, გააკავეს და ისევ კუნძულ ნიზიდას საპატიმროში გაგზავნეს.

— რასაც უნდა იმას გაგზავნის კაცი ინგლისის ფოსტით. ამას წინად ერთმა კაცმა ცოცხალი გოჭი გაუგზავნა თავისს მეგობარს. ადრესი და ფოსტის კვიტანცია გოჭს ფეხზე ჰქონდა მიბმული. ფოსტამ გოჭი დანიშნულებისამებრ ჩააბარა თავისს დროზედ.

— რადგანაც მთელი ქვეყანა ამ ჟამად სულ კოხზე ლაპარაკობს, გაზეთებმაც აიღეს და, რაც-კი მოჰხვდებათ, ყველაფერსა სწერენ იმის შესახებ. აი მაგალითად ერთს გაზეთში ისიც-კი აწერილია, თუ როგორ ატარებს დროს გამოჩენილი კოხი: „კოხი დგება სწორედ დილის 9 საათზე, ყავის დალევის მაგიერ შავის პურის ქაშსა სჭამს და შემდეგ თავისს ლაბორატორიაში მიდის, სადაც ნაშუადღევის 2 საათამდე რჩება. სადილზედ ჯერ შემწვარსა სჭამს, მერე ტკბილეულობასა და სულ ბოლოს-კი წვნიანს. ნასადილევს შეჯდება ერთს ბებერს ცხენზე და ეგრიშით გასწევს ხოლმე ტირგარტენში სასეირნოდ. სეირნობას ერთს საათს ანდომებს და მას-უკან-კი ისევ ლაბორატორიაში მუშაობს საღამოს 8 საათამდის. ვახშამს უფრო ნაღდიმათა სჭამს ვიდრე სადილს, სხვა-და-სხვა ტკბილეულობას გარდა, ოთხ-ხუთს თავს საჭმელზე ნაკლები არა-დროს არ მისდის. მეგობარ-ნაცნობებს მხოლოდ ვახშამს უკან მიიღებს ხოლმე სანახავად და სამუსაიფოდ. როცა ლოგინში წვება, ჯერ კარგა ხანს კითხულობს საპოლიტიკო გაზეთებსა და სამეცნიერო ჟურნალებსა და შემდეგ იძინებს.

## დეპეშა

23 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ გარდაიცვალა გენერალი ლევიცკი, რომელიც იყო უკანასკნელის ომიანობის დროს თანაშემწედ მხედრობის შტაბის უფროსისა.

ლონდონი. ტოსიდ ლისტერმა სთქვა კინგსკოლლეჯის სამკურნალოში, რომ კოხმა მოიგონა ორ-გვარი წამალი, რომელიც არა თუ არჩენს ორს საშინელს ავადმყოფობას, არამედ კიდევაც იფარავს ადამიანს მათგანაო. ლისტერს ამ თქმით სახეში ჰქონდა წამლობა ხუნაგისა და გაშეშებისა.

სტამბოლი. პორტასა და მ ოფ ლიო პატრიარქს შორის მორიგება ჩამო ვარდა. მომავალ კვირას დაყენებულ ეკკლესიებში კვლავ წირვა-ლოცვა დაიწყება.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 6 იდამ 5%-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ნოემბერი.

| | მიცემული. | | გამოყიდვისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 | 85 | 6 | 88 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137¼ | | 137¾ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239½ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 216 | |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | 212¼ | |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიასკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჟამზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

## საგულისხმიერო აზრები

ვეფხვის ტყაოსნიდამ

შედგენილი და გამოცემული ნიკო ველის-ციხელის მიერ.

ფასი ორი შაური

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკი ხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . . | „ | 55 |

---


## რძის ფქვილი ნესტლესი ღირს 1 მან.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა. მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ღირს 85 კაპ.

ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს. პეტერბურგს, ფუზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგოროვის სა. ხლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Александръ Венцель

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის-გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეორე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---


გამოვიდა და ისყიდება რუსულის ენის სახელმძღვანელო, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

## „РУССКОЕ СЛОВО“

или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть первая, подготовительныя ступени.

გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალის სურათებით და რუსული დედნით.

### ფასი ექვსი შაური

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს ცალსა, ან მეტსა, მას წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატონ სამი შაური.

ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, კუკიის ხიდის ყურთან, და სხვა მაღაზიებშიაც.

მეორე ნაწილიც „Русское Слово“-სი იბეჭდება და დეკემბერში უთუოდ გამოვა სტამბიდგან. (3—3)


Дов. цен. Тифлисъ, 23-го Ноября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე